| # | პრეტენდენტი | შემოტანის ვადა | პაკეტის რ-ბა | პრეტენდენტის ხელმოწერა | მიმღების ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | „[illegible]" | 17:10 | 15 ეგზ. | 599-54-12-81. | [illegible] |
| 2 | „[illegible]" | 18:10 | 1 ეგზ. | 599.11.80.40 [illegible] | [illegible] |
| 3 | „[illegible]" | 18:56. | 1 ეგზ. | 599.43.85.37 [illegible] | [illegible] |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |

**საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ტექნოპარკის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის**

**ოქმი № 02**

ქ. თბილისი

„11 აგვისტო" 2014 წ.

**საკონკურსო კომისიის წევრები:**

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე **თავმჯდომარე – ი. ქაშიბაძე**

**კომისიის წევრები:**

**ავთანდილ კასრაძე**

**ცირა ლაშქარავა**

**ირმა ჭანტურიძე**

**გიორგი კინწურაშვილი**

**საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები:** **თ. კერესელიძე**

**დღის წესრიგი:**

1. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ **საპროექტო კონკურსზე** წარმოდგენილი წინადადების გახსნა და წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განხილვა.
2. საკონკურსო კომისიის წევრებისა და კომისიის აპარატის მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებისა და წესების გაცნობა.

**მოისმინეს:**

საკონკურსო კომისიის წევრის ც. ლაშქარავას ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ კონკურსზე წინადადება წარმოადგინა სამმა პრეტენდენტმა:

1. შპს"არტსტუდიო პროექტი"
2. შპს"ინსტუდიო"
3. შპს"არქიტექტურული ბიურო"

განხილვა:

კომისიის წევრებმა შეამოწმეს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საგადახდო დავალება. აღმოჩნდა , რომ შპს"ინსტუდიო"-ს მიერ წარმოდგენილი საგადახდო დავალება წარმოდგენილი იყო მცირე ხარვეზით. კერძოდ: საგადახდო დავალებაში ყველა აუცილებელი მოთხოვნა: შესმყიდველი- საიდენტიფიკაციო კოდით, მიმწოდებელი- საინდენტიფიკაციო კოდით, კონკურსის უნიკალური კოდი, გადახდის თარიღი,ასევე გადახდის ღირებულება -50 ლარი აღნიშნულია სწორედ. ხარვეზითაა მხოლოდ წარმოდგენილი გადახდის დანიშნულება. საკონკურსო კომისიამ იმსჯელა აღნიშნულზე და მიიღო გადაწყვეტილება შპს" ინსტუდიო" დაუშვას კონკურსზე, რადგან კონკურსის და საკონკურსო წინადადების იდენტიფიცირება შესაძლებელია და არაა გაურკვევლობა, თუ რომელ კონკურსზეა წარმოდგენილი წინადადება.

აღნიშნული ფაქტის შემდგომ კომისიამ მოახდინა დალუქული პაკეტების გახსნა. კონვერტების გახსნისას დადგინდა რომ წარმოადგინეს წინადადებები შემდეგი ღირებულებით:

1. შპს"არტსტუდიო პროექტი"- 85000ლარი;
2. შპს"ინსტუდიო"-99000ლარი;
3. შპს"არქიტექტურული ბიურო"-275048ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის შედეგად კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია შემდეგი სხდომა გაიმართოს მოგვიანებით, ვინაიდან წარმოდგენილი წინადადებები დიდი მოცულობისაა და საჭიროებს დეტალურ განხილვას. ასევე ყველა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წინადადება განსახილველად გადაეცეს ტექნოპარკის მშენებლობის მენეჯმენტის მწარმოებელს შპს"ელემსის," განხილვის შემდგომ კი მოხდეს კომისიის წევრებისა და მშენებლობის მენეჯმენტის მწარმოებელი კომპანიის რეკომენდაციების შეჯერება.

**დაადგინეს:**

1. საკონკურსო კომისიამ წარმოდგენილი წინადადებები განიხილოს დეტალურად და შემდეგი სხდომა გაიმართოს მოგვიანებით.

## ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

**საკონკურსო კომისიის სხდომაზე დამსწრე** საკონკურსო **კომისიისა** და საკონკურსო **კომისიის** აპარატის **ყველა წევრი ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს** კანონის **მე-8 მუხლის** თანახმად საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ტექნოპარკის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების კონკურსზე **მონაწილე პრეტენდენტთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.:**

სხდომის თავმჯდომარე - ი. ქაშიბაძე

საკონკურსო კომისიის წევრი - ა. კასრაძე

საკონკურსო კომისიის წევრი ც. ლაშქარავა

საკონკურსო კომისიის წევრი - ი. ჭანტურიძე

საკონკურსო კომისიის წევრი - გ. კინწურშვილი

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი: თ. კერესელიძე